№ 68
სამშაბათი,
17 ნოემბერი
1909 წ.

# მომავალი

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 68
სამშაბათი,
17 ნოემბერი
1909 წ.


## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

**Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.**



## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**დამბაშიძე გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძიძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. სნებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—38)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—38)

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

## თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს მეორეჯერ ა. რუბინშტეინის **ნერონი** მუსიკალური დადგმა ანტონ ეიხენვალდისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიკშემსკაია, ელაგინა, კალინინა, შულიგინა; ბ-ნნი: ბორისენკო, გალეცკი, გურონი, დემიანენკო, კუზმინი, ობრუბოვი, პევცოვი, სოკოლსკი, ტირაციანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. ხვალ სამსახურის ასრულების დროს დაღუპულ პოლიციელების ქვრივ-ობლების სასარგებლოთ ჟ. ბიზეს **„კარმენი“**. ხუთშაბათს, 19 ნოემბერს M-me **ბატტერფლეი**. მზადდება წარმოსადგენათ პირველათ თფილისში მასსენეს **„ტაისი“**.

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა.

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

**29 ნოემბერს 1909 წ**

გამოვა ქართულ ენაზე იუმორისტული და ლიტერატურული ალმანახი

## „დიპლიპიტო“

კარიკატურებით და სურათებით, ალმანახი დაბეჭდილი იქნება ფერადის სურათებით. ეღირება ყველგან ორ შაურათ.

საჭიროა პროვინციიდან სანდო კორესპონდენტები, მასალის გამოგზავნა შეიძლება ახლავე შემდეგის ადრესით: Тифлисъ, ред. „Закавказье“ Э. Д. Горделадзе. მასალა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული ფასი, ჩაითვლება უფასოდ.

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა**, ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

**ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა**

მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zürich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—11)

დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

## ბათუმში

გაზეთ „მომავალ“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე

**გიორგი მახარაძესთან.**

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ“-ში დასაბეჭდათ.** (10—9)

## ჭიათურაში

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

**ისიდორე შილაკაძე.**

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ“-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ“-ში დასაბეჭდათ. (10—10)

## გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—29)


## პრესა

გაზეთ „ნაშ კრაი“-მ შესაძლებლათ დაინახა ნება მიეცა თავის თანამშრომლისთვის ჩვენი გაზეთისათვის რამდენიმე „კომპლიმენტი“ ეძღვნა. ბ-ნი „ესმევარი“ სწერს:

„ვგონებ არც ერთ პრესაში ისე არ უყვართ პოლემიკა, როგორც ქართულში. უკვე გარდაცვლილი მოხუცი „ივერია“ უკანასკნელ ხანებში თითქმის ერთავათ საპოლემიკო წერილებიდან შესდგებოდა.

**ეხლა იგივე ხდება ერთ ქართულ** გაზეთში (ხაზი ჩვენია) ახალი დრამ. წრის დაარსების შესახებ“.

თურმე ნუ იტყვით, ჩვენი გაზეთი „ივერიის“ გზას დასდგომია, „ივერიამდის“ ჩამოქვეითებულა და წრის შესახებ საპოლემიკო წერილებს გარდა სხვას აღარაფერს აღარ წერს და ეს აღმოაჩინა „ნაშ კრაის“ ფურცლებზე ვიღაც „ესმევარმა“!

რედაქციამ შენიშვნაც კი არ გაუკეთა.

ბ-ნი „ესმევარი“ სწერს ვითომ მთელი ეს აურ-ზაური რაღაც „პირადულ“ ანგარიშებს გამოეწვიოს და რაინდული სიამაყით კითხულობს:

„ნუ თუ ჩვენში ისე ცოტაა მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ დავსძლიოთ „პირადული“ და ღირსეული მიუზღოთ „საზოგადოებრივს“.

„ესმევარს“ რომ მართლა მოეხერხებია „პირადულის“ დაძლევა და საკმაო „მოქალაქობრივი გამბედაობა“ გამოეჩინა, მაშინ არც ასეთ ცალმხრივ და სიმართლეს მოკლებულ წერილს დასტამბავდა. და თუ ასეთი მიუდგომლობა ვერ გამოიჩინა ბ. „ესმევარმა“, რედაქცია მაინც ვალდებული იყო, თუ კი მას სურდა თავის ფურცლებზე გადატანა ამ კითხვის შესახებ გამართულ პოლემიკის, ცალმხრივათ არ გაეცნო რუს მკითხველებისათვის საქმის ვითარება...

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15—16 ნოემბერი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. საგარეო საქმეთა მინისტრმა პასუხი გასცა ბალკანეთის კონფედერაციის შესახებ შეკითხვაზე და სთქვა, რომ მინისტრების სიტყვა დეპეშებში დამახინჯებულათ იყო გადმოცემული. მიიღეს სწორი ტექსტი, რომლიდანაც აშკარათ სჩანს, რომ ბულგარეთის მთავრობას აზრათ არ ქონია ჩარევა ჩვენ საქმეში. კონსტიტუციის დამყარების შემდეგ ის ცდილობს კეთილი განწყობილება იქონიოს ოსმალეთთან. კონფედერაციის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ ოფიციალურათ არავითარი ნიშნები არ არის ასეთი კონფედერაციის მოხდენის. შეკითხვის ავტორი მაინც არ დაკმაყოფილდა მინისტრის განმარტებით და სთქვა, რომ მინისტრს არ უთქვამს კონფედერაცია ოსმალეთის წინააღმდეგაა მიმართული თუ არა და აქვს თუ არა ამას დამოკიდებულება სერბიის მინისტრ მილოვანოვიჩის მოგზაურობასთან. მინისტრმა განაცხადა, რომ საზოგადო კრებაზე არ შეიძლება განხილულ იქნას მნიშვნელოვანი პოლიტიკური კითხვები. ბერძენი ბუშიასი და ბულგარელი პონჩო ამტკიცებენ, რომ ისინი ერთგულნი არიან ოსმალეთის კონფედერაციის და ამტკიცებენ, რომ უცხო მინისტრების სიტყვები გავლენას ვერ მოახდენენ ოსმალეთის ერთგულ ერებზე. პალატამ მინისტრს ნდობა გამოუცხადა.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** დილის 11 საათზე ჰაერში აუშვეს სამი სამხედრო ჰაეროსტატი. პირველში იყო ოთხი აფიცერი, დანარჩენებში ორ-ორი. ოთხივე ნიკოლაევის გზისკენ გაფრინდა.

**ოდესა.** თავს დაესხნენ გილფენენდროვსკის სავოლოსტო სასამართლოს. მოკლეს დარაჯი ბოროტ-გამზრახველებმა ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს ისე გაიქცნენ. ეჭვით დაიჭირეს 2 კაცი.

**სევასტოპოლი.** ზღვაზე ძლიერი ღელვაა. თოვლი მოდის.

**ბაქო.** ერობის შემოღების შესახებ საგუბერნიო თათბირზე დადგინეს 22 ხმით წინააღმდეგ 18 ხმისა გაიყოს ბაქო სამ საერობო ერთეულათ: ქალაქი, „პრომისლი“ და მაზრა. სრულიად კავკასიის სამხრეთ ერობას ხმა მისცა სამმა. ერობათა პერიოდული სიეზდის დაწესება მიიღეს დიდი ხმის უმეტესობით.

**მოგილიევი.** სასულიერო სემინარიის პირველ ოთხი კლასის მოწაფეებმა თავიანთ მთავრობას წარუდგინეს მოთხოვნა შეცვლილ იქნას სემინარიის შინაური წეს-რიგი. ამის გამო ბევრი მათგანი დაითხოვეს სემინარიიდან.

**მოსკოვი.** ბლერიო და გიუიო სამჯერ აფრინდნენ ჰაერში, ავიდნენ ოთხი საჟენის სიმაღლეზე და ვერსნახევარ მანძილზე გაფრინდნენ.

**პეტერბურგი.** სამ ჰაეროსტატისაგან, რომლებიც გუშინ აუშვა ჰაერში, ერთი ჩამოეშვა ქალაქ ველიკიე ლუკის ახლო, გაიარა თერთმეტ საათსა და 5 წუთში 460 ვერსი. მეორე—პორხოვის ახლო, გაიარა 5 საათსა და 45 წუთში 245 ვერსი. მესამე იქვე, გაიარა 6 საათში 240 ვერსი.

**პერმი.** გაიხსნა ხე-ტყის მრეწველთა სიეზდი.

**იაროსლავლი.** როსტოვში სადგურის ახლო დანით მძიმეთ დასჩრეს ჟანდარმი, რომელიც ორ ქურდს მისდევდა. ერთი მათგანი დაიჭირეს.

**ბაქო.** სასამართლომ მილიონერ მუსა ნაგიევის გატაცების საქმეში დამნაშავეთ იცნო ხუთი კაცი. 4 მათგანს გადაუწყვიტა ყოველივე ღირსება-უპირატესობის ჩამორთმევა და სხვადასხვა ვადით კატორღაში გაგზავნა. ერთს, როგორც უწლოვანს, შვიდი წლის ციხე მიუსაჯეს.

**ვოლოგდა.** იაბესკის ერობამ ცამეტი ათასი მან. გადასდო საეკლესიო-სამრევლო სკოლების სასარგებლოთ.

### ხოლერა.

**პეტერბურგი.** ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავათ გახდა 25, მოკვდა 9, მორჩა ათი, ავათ არის თვრამეტი. სამარის გუბერნიის ნიკოლაევის მაზრაში ავათ გახდა ორი, მოკვდა ერთი. პინეგეჟში ავათ გახდა სამი, მოკვდა ერთი.

**კიევი.** ქალაქში ხოლერით ავათ გახდა 2, გუბერნიაში 9, მოკვდა 2.

**კოსტრომა.** ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 4, მოკვდა 3.

### საზღვარ-გარეთ

**მადრიდი.** მაროკოდან იტყობინებიან, რომ ესპანელებმა გაამაგრეს 13 ნოემბერს აღებული პოზიცია ატლატერი. გარკომ უარი სთქვა ესპანელებზე თავდასხმა, რადგან შეუძლებლათ სცნო მათ ძლიერ ძალასთან შებრძოლება. მელილის ყველა ტომებმა მორჩილება განაცხადეს.

**ვენა.** სამხედრო სასამართლოში მისცეს პორუჩიკი გოფრისტერი, რადგან მან გენერალურ შტაბის ათ ამხანაგს ციანისტი კალი გაუგზავნა, როგორც ნერვების სისუსტის წინააღმდეგი საშუალება.

**ვენა.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ 4 ნოემბერს უეცრათ გარდაცვალებული კაპიტანი მადერი, ერთი აფიცერის წყალობით მოკვდა. მას რამდენიმე პირისთვის გაუგზავნია ციანისტი კალი, რომლითაც აფიცრები მოწამლულან.

**ლონდონი.** ირლანდიის მიწების ბილის შესახებ ორივე პალატა შეთანხმდა. მთავრობამ დაუთმო, ლორდთა პალატამაც დაუთმო რამდენიმე მუხლებში.

**ბერლინი.** იმპერიის კანცლერის თავმჯდომარეობით მოხდა კავშირის საბჭოს სხდომა საგარეო საქმეების შესახებ. კრების მიზანი იყო გაეცნო კანცლერს მოკავშირე სახელმწიფოების მინისტრებისთვის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კითხვები, მათ შორის გერმანიის და იტალიის დამოკიდებულების შესახებ.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა ატლატერის მთის დაპყრობის გამო დააბრუნოს ჯარი ესპანიაში იმ წესით, როგორც ამას დაინახავს გენერალი მარინა. ჯარის დაბრუნების შემდეგ სათადარიგო ჯარის კაცებს თავიანთ სახლებში დაითხოვენ.

**სოფია.** გუშინ საღამოს კრებამ დაასრულა ოქმების განხილვა და ამით საბოლოოთ გათავდა დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ საქმე. ამის გამო მოახდინეს სამადლობელი მანიფესტაცია რუსეთის პატივსაცემლათ.

**პარიჟი.** ვიღაც ბოროტ განმზრახველმა გენერალ ვეროს რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა კატილიონის ქუჩაზე. გენერალი ორ ადგას დაიჭრა თავში. ბოროტ-გამზრახველი დაიჭირეს.

**პარიჟი.** ბოროტ-გამძრახველს, რომელმაც გენერალ ვეროს რევოლვერი ესროლა, სამხედრო მინისტრის მოკვლა უნდოდა. მას მინისტრის სურათი აღმოაჩნდა. ის ალჟირელია. თან აღმოაჩნდა ორი რევოლვერი და გძელი ხანჯალი. შეკითხვის დროს განაცხადა, რომ ალჟირის ოფიცრების უსამართლობის მსხვერპლია. გენერალი მსუბუქათ დაჭრილი აღმოჩნდა.

**ბუქარესტი.** გაიხსნა პარლამენტის სესია. მეფემ წაიკითხა სეფე-სიტყვა. სხვათა შორის განაცხადა, რომ რუმინია სხვა სახელმწიფოებთან საუკეთესო განწყობილებაშია. ზომიერ მოქმედების წყალობით რუმინიამ ისეთი ადგილი დაიჭირა, რომ ის ევროპის პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტათ ითვლება და სხვა სახელმწიფოებთან ერთათ შრომის მშვიდობიანობის დასამყარებლათ. სეფე-სიტყვას თანაგრძნობით შეხვდნენ.

## უფლება ფულია!

—

საზოგადოთ პოლიტიკაში გერმანია დიდი ხანია ცნობილია, როგორც ნახევრათ აბსოლიუტური სახელმწიფო. ხოლო თუ გავიხსენებთ იქაურ იუნკერთა ანდაზას: „მეფე თვითმპყრობელია, ოღონდ ასრულებდეს **ჩვენს** ნებას“!—მაშინ ცხადია ჩვენთვის მოყვანილ ეპიტეტის მნიშვნელობა. გერმანიის ნახევრათ აბსოლიუტიზმში უფრო იუნკერთ უძევთ წილი, ვინემ გვირგვინოსანთ, და უკანასკნელნიც ხომ „პირველ იუნკრებათ“ იწოდებიან მათ საბრძანებლებში. მაგრამ იუნკერთა ბატონობა მარტო ხმალ-აბჯარზე როდი ებჯინება, ეს შეუძლებელიც იყო კულტურულათ დაწინაურებულ გერმანიაში. იუნკრებმა შექმნეს ნამდვილი თანამედროვე რამ, რომლითაც მათ დიახაც შეუძლიათ თავი მოიწონონ,—ეს არის „სოფლის მწარმოებელთა კავშირი“. უკანასკნელში შედიან არა მარტო იუნკერნი, არამედ მესაკუთრე გლეხებიც, ხშირათ წვრილებიც, მაგრამ ხელმძღვანელობა მაინც პირველთ ეკუთვნით აქამომდე. სწორეთ ამ წმინდა კლასობრივ და მტკიცე კავ-

შირის მეოხებით იუნკრებმა არა ერთხელ გაიტანეს ლელო საიმპერიო თუ ადგილობრივ მოედანზე. საკმაოა გავიხსენოთ მათი დიდი გამარჯვება საბაჟო პოლიტიკაში 1901 წლის დამლევს, ბლოკის დამსხვრევა და თვით მის მამათმთავარ ბიულოვის გადაყენება წელს...

ხოლო რაც რეაქციონურმა და წარმავალმა კლასმა—იუნკრობამ ასე ადვილათ შესძლო, ის მიუწდომელი გახდა გერმანიის ამომავალ კლასისათვის—ბურჟუაზიისათვის. ცოტა არ იყოს, საკვირველია ეს, და ამაზე შეჩერება მართლაც ბარაქიანი შრომა იქნებოდა, მაგრამ აქ არაა ამის ალაგი. ბურჟუაზიას არ ჰქონდა ისეთი რამ ორგანიზაცია, რომელსაც იუნკერთა „კავშირსავით" უნდა ეკისრნა სისტემატიური გავლენა მთავრობაზე და პარლამენტზე, რათა მათი პოლიტიკური „წონა" იმპერიაში შესაფერი გამოსულიყო მათივე ეკონომიურ მნიშვნელობისა. ამ გარემოებას მან მხოლოდ წელს მიაქცია ყურადღება. საბაბი იყო ახალი საფინანსო „რეფორმა", რომლის გაყვანის დროს ასე აშკარათ გამოტყვრდა იუნკერთა „თვითმპყრობელობა" არა მარტო პრუსიაში, არამედ მთელს იმპერიაშიც.

ბურჟუაზიამ დააარსა ეგ. წოდ. ჰანზას კავშირი", რომელშიაც შეუძლიათ შევიდენ ქალაქის ვაჭარ-მრეწველთ, განურჩევლათ რწმენისა. მიზანი ამ კავშირისა ისაა, რომ სოფლის იუნკერთა „გადაჭარბებულ" პრეტენზიებს დაუპირდაპიროს ქალაქის ვაჭარ-მრეწველთა „კანონიერი" მოთხოვნილებანი და ამით მოუპოვოს უკანასკნელთ შესაფერი მნიშვნელობა და გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ ამ საყურადღებო ფაქტს, „ჰანზას კავშირის" მოღვაწეობის გაშინჯვა მხოლოდ მომავალს ეკუთვნის.

მაგრამ წმინდა ეკონომიურ კავშირების დაარსებაში გერმანიის მსხვილმა ბურჟუაზიამ დიახაც დიდი უნარი გამოიჩინა. იგი ერთობ გამსჭვალულია ამ მხრივ „ამერიკანიზმით". ხსენებულ ორგანიზაციებ შორის პირველი ალაგი უეჭველათ ეკუთვნის „გერმანელ მრეწველთა ცენტრალურ კავშირს", რომლის ხელმძღვანელობა დასავლეთ პრუსიის „მგლების" ხელშია. ეს კავშირი თავიდანვე ებრძოდა დაუზოგველათ მუშათა ორგანიზაციებს, იგი იყო უპირველესი მიზეზი სოციალური კანონების ერთ წერტილზე გაყინვისა, ის ურიგებდა უხვათ ფულს ბურჟუაზიულ პარტიებს მათ კანდიდატების გასაყვანათ არჩევნებზე ს.-დემოკრ. წინააღმდეგ...

ფრიად საინტერესოა და საგულისხმო ერთი ახალი ნაბიჯი, გადადგმული ამ კავშირის მიერ 15 ოქტომბერს ახ. სტილით. ამ დღეს შეიკრიბენ მთავარი „მგლები" ბერლინში და იქონიეს მსჯელობა იმპერიის საერთო პოლიტიკაზე, აგრეთვე სოციალურ კანონდებაზე. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ისინი არ არიან კმაყოფილნი თანამედროვე მდგომარეობით. მათი მთავარი რეფერენტი ბუეკი ამტკიცებდა: მთავრობა სუსტათ იცავს მრეწველთა ინტერესებს; სამრეწველო საქონელი არაა ისე დაცული ბაჟებით, როგორც სოფლის; ბურჟუაზიული პარტიები არ იცავენ რიგიანათ მრეწველთა ინტერესებს რეიხსტაგში, ფულებს კი ბლომათ იჯიბავენ მათგან; ძველი პროფესორები გადაშენდენ, ახლები კი უფრო სოციალისტობენ; პატრონთა ბატონობას ქარხანა-ფაბრიკებში ძირი ეთხრება სოციალურ კანონდების წინსვლით... ჩვენ ვერ გამოვუდგებით ამ საყვედურების ჩამოთვლას, მათი რიცხვი ბევრია და ყველა თანაბრათ „ღირსეული". რა საშუალება წამოაყენა რეფერენტმა ამდენი ბოროტების გასაქარწყლებლათ? საარჩევნო ფონდის დაარსება. მრეწველებმა უნდა იკისრონ მუდმივი გადასახადი და ისიც თვალსაჩინო; საზომათ ცნობილია მუშათა ხელფასის საერთო წლიური ჯამი თვითეულ მრეწველთან, ამის მიხედვით უნდა აძლიოს მან ერთხელ განსაზღვრული პროცენტი. არსდება მუდმივი კომისია, რომელშიც შედიან 15 უმსხვილეს სინდიკატების წარმომადგენელნი. კომისია ბერლინშია საცხოვრებლათ, მაგრამ ის მუდამ მოძრაობაშია: მან უნდა მოიაროს ყველა კუთხენი, სადაც არჩევნები უნდა მოხდეს, განსაკუთრებით რეიხსტაგის, უნდა შეაგროვოს ადგილობრივ ცნობები, რამდენათ საიმედოა **მრეწველთა ინტერესებისთვის** ამა თუ იმ **ბურჟუაზიულ** პარტიის კანდიდატი, მონაწილეობა მიიღოს შესაფერ კანდიდატის დასახელებაში; **მხოლოდ ამ კვლევა-ძიების შემდეგ ეძლევა მოწონებულ პარტიას და მის კანდიდატს ფულები საარჩევნო ფონდიდან...** ეს წინადადება **ერთხმათ** იქნა მიღებული კრებისაგან და ჩქარა საქმის განხორციელებასაც შეუდგებიან.

ბანკირ-კაპიტალისტები რომ საზოგადო პარლამენტის პროფანაციას და დეპუტატების ყიდვა-გაყიდვას ეწევიან, ეს არ ახალია, მაგრამ გერმანიაში თითქო სამარცხვინოთ იყო ჩათვლილი ასეთი პრაქტიკის საჯაროთ გამოფენა. რასაკვირველია, არავისთვის არ იყო საიდუმლო მრეწველთა კავშირის „პოსობიები", მაგრამ ისინი მუდამ დაჟინებით უარყოფდენ მათ საჯაროთ. აწლა კი, როგორც დავინახეთ, ისინი თვითონ აღიარებენ ამას და ლამობენ ქრთამ-დალალობის ცენტრალისტურათ ორგანიზაციას. იყო მათ შორის ერთი იდეალისტი, რომელიც მოითხოვდა სოფელ-ქალაქის მწარმოებელთა პარტიის დაარსებას, რომელშიაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო, მისი აზრით, ექვსი მილიონი წევრის შეკავშირება. ეს წინადადება თავის თავათ სამარცხვინოს არაფერს შეიცავდა, რადგან პარტიის დაარსება თხოულობს პროპაგანდა-აგიტაციას და სხ., რაიც სრულიად კანონიერია, მაგრამ ეს წინადადება კრებამ უყურადღებოთ დასტოვა და მისი ავტორიც საარჩევნო ფონდს მიექცდლა!

მაშ ასე, „მგელთა" კავშირი უადგილოთ თვლის საშუალებათა სიკარგისიავის გათვალისწინებას, მისთვის ყოველი საშუალება კარგია, ოღონდ ამით მის ანგარებით აღსავსე მიზანს მიაღწიოს. მას სურს შეისყიდოს რეიხსტაგი en gros, არც მეტი არც ნაკლები. მისთვის სულ ერთია ნაციონალ-ლიბერალი, კონსერვატორი, თავისუფალ-მოაზრე; ის მხარს აძლევს ყველას, ოღონდ ისინი მის ერთგულ ქოფაკად იქცენ. სოციალდემოკრატიაში ის, რა თქმა უნდა, ჭირსა და ვარამს ხედავს, ამიტომ ეჭვი არაა, ისინი პირველ ყოვლისა ს.-დემოკრატიის განადგურება-მოსპობას შეეცდებიან.

კავშირი მსჯელობს ასე: უფლება ფულია და ფული უფლებაა!

**ერთი ვინმე.**

# უკანასკნელი ფოსტა

## ოსმალეთი.

**რეაქციონერებმა თავი წამოყვეს.** დიარბექირის ვილაეტში რეაქციონურმა მოძრაობამ იფეთქა. რეაქციონერებმა მოკლეს ერთი ცნობილი სომეხი და თავს დაესხენ სომხების მონასტერს. მცხოვრებთ შიშის ზარი დაეცათ.

## რუსეთი.

**დუმის გარშემო.** როგორც ჩვენ გაზეთში მოხსენებული გვქონდა, მთავრობას განზრახვა აქვს საზოგადო სახელმწიფოებრივ საკითხების შესახებ ფინელი დეპუტატები დუმაში მოიწვიოს და სეიმს კი უფლება წაართვას ასეთი კითხვების განხილვა-დამტკიცებისა. ანრეპის, ბობრინსკის და გოლიცინის შეხედულობით მთავრობა ამ შემთხვევაში სრულიად კანონიერათ იქცევა და მთავრობის კანონპროექტს დუმაც თანაგრძნობით უნდა შეხვდეს. დუმის ოპოზიცია კი იმ აზრისაა, რომ ფინლიანდელი დეპუტატები არაფერი დიდებისათვის სახელმწიფო დუმაში არ წამოვლენ.

— ხმები იმის შესახებ, ვითომ პროგრესისტები ოქტომბრისტებთან ბლოკის შეკვრას აპირებდენ—მართალი არ გამოდგა. პროგრესისტების ლიდერი დეპ. ეფრემოვი სატახტო გაზეთებს სთხოვს, რომ ეს ხმები უარყონ.

— მეიენდორფმა უვაროვს აცნობა, რომ გუჩკოვი სამედიატორო სასამართლოზე უარს ამბობს და „დუელს" მოითხოვსო. მოელიან დროსა და ადგილის დანიშვნას. ხომიაკოვის ამ ინციდენტში ჩარევას ის გარემოება უშლის ხელს, რომ ხომიაკოვი უვაროვის ნათესავი ყოფილა.

— საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დეპუტატი ბელოუსოვი შეეკითხა ციხეების მთავარ სამმართველოს უფროს ხრულევს: როდის გადაიყვანენ მეორე დუმის დეპუტატებს, რომელთაც კატორღა აქვთ გადაწყვეტილი, თავისუფალ „კომანდაზეო". ხრულევმა უპასუხა: ამაზე გადაჭრით პასუხის მოცემა არ შემიძლია, ვინაიდან ეს სხვადასხვა მიზეზებისაგან არის დამოკიდებულიო. ბელოუსოვმა სურვილი გამოსთქვა, რომ ზოგიერთ კატორღელებს ნება ქონდეთ დართული თავიანთი თხზულებანი გამოსცენ, აგრეთვე უცხო ენებიდან წიგნები გადათარგმნონ, რომ ამით ლუკმა-პურის ფასი მაინც შეეძლოთ იშოვონ. ამას გარდა, სასურველია ციხეების წიგნთსაცავებში ინახებოდეს რუსეთის კლასიკების ნაწარმოებნი. ამაზე ხრულევმა უპასუხა: კანონი ტუსაღებს წიგნების დასტამბვას და გამოცემას უკრძალავს და ეს არც ევროპის განათლებულ სახელმწიფოებშია ნება-დართული; რაც შეეხება კლასიკების ნაწარმოებთა ციხეებში გავრცელებას, ეს იქამდის მიგვიყვანს, რომ ციხეებში ლ. ანდრეევის „შვიდი ჩამოხრჩობილნიც" კი გაჩნდებაო.

**სენატი ქალ-ვექილების შესახებ** 13 ნოემბერს მოხდა სენატის საკასაციო დეპარტამენტის კრება. კრებამ გააუქმა პეტერბურგის საოლქო სასამართლოს დადგენილება, რომლითაც ქ-ნ ფლეიშიცის ნება მიეცა დამცველათ გამოსულიყო სისხლის სამართლის საქმეში. სენატის აზრით, რაკი კანონით ქალებს არ ეკრძალებათ ვექილობა, თითქო მათ ამით უფლება ეძლევათ. ამ კითხვის საბოლოოთ გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო გზით.

**უშაკოვის დაჭერა.**—ამ დღეებში დაიჭირეს მუშათა კავშირების ორგანიზატორი უშაკოვი. გაჩხრეკის დროს უპოვეს გრაფ ვიტესთან მიწერ-მოწერის ქაღალდები.

**პეტერბურგის უნივერსიტეტში.** პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განიხილა 7 ნოემბერს სტუდენტების მიერ გამართულ ნება-დაურთველ კრების შესახებ. საბჭომ დაადგინა არავითარი ზომები არ იქნას სტუდენტების წინააღმდეგ მიღებული, ვინაიდან ეს კიდევ მეტათ გაამწვავებს მდგომარეობასო.

**რედაქტორის დასჯა.** ფინური გაზეთის „ხალხის ხმის" ყოფილ რედაქტორს, გუსლის სასამართლომ მისი უდიდებულესობის უდიერათ მოხსენებისათვის 6 თვის ციხე მიუსაჯა. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით პასუხის-გებაში იქნება მიცემული ფინლიანდიის სხვა გაზეთების რედაქტორებიც ჯარის მოქმედების შესახებ წერილების მოთავსების გამო.

**ოდესის სტუდენტ ქალების დეპეშა.** ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა ვექილ-ქალს ფლეიშიცს პეტერბურგში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს: „ნოვოროსიის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი ქალები სალამს გიძღვნით თქვენ, ვექილ-ქალს, რომელსაც წილათ გხვდა პირველი გამოსულიყავ ხაზრძოლველათ მომავალ ვექილ-ქალთა უფლებისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ პროგრესიული რუსეთის დახმარებით ჩვენ შევსძლებთ ჩვენი უფლების დაცვას".

**უბედური შემთხვევა სადგურზე.** სათადარიგო აფიცერი ივანოვი 9 ნოემბერს ოდესის სადგურზე მისულა და საფოსტო მატარებლის ყუთში წერილი ჩაუგდია. ივანოვი უკან დაბრუნებულა. როდესაც სადგურის პირველი კლასის დარბაზში შესულა, უცბათ მის ჯიბეში რაღაც საშინელი ხმით აფეთქებულა. თავზარდაცემული ხალხი შიშით აქეთ-იქით მიწოლილა. აფეთქების გამო ივანოვს დაშავებია ცალი გვერდი, ხელი და თითები. დაშავებულა იქვე მდგომი პატარა ბავშვი. საავათმყოფოში ივანოვი გამოტეხილა და კომენდანტისთვის უთქვამს, აფეთქება ჩემს ჯიბეში მოხდაო. გასინჯვის დროს ივანოვის ჯიბეში მართლაც აღმოაჩინეს ათი შუშა სითხით სავსე ასაფეთქებელი.

**67 ინტენდანტის საქმე.** სენატორ გარინის წინადადებით ახლო მომავალში პასუხისგებაში იქნება მიცემული მოსკოვის ოლქის 67 ინტენდანტი სხვადასხვა ბოროტ მოქმედებისათვის.

**რეპორტიორების შეტაკება.** კიევის საპოლიციო განყოფილებაში შესულან გაზეთ „კიევის აზრის" რეპორტიორი სოლიაკოვი და „კიევის პოსტის" რეპორტიორი სამბურსკი. მათ საგაზეთო ცნობების მიღება სდომებიათ. სამბურსკის სოლიაკოვისათვის ბრაუნინგიდან რამოდენიმე ტყვია დაუხლია და მძიმეთ დაუჭრია. დატუსაღების შემდეგ სამბურსკის განუცხადებია, რომ სოლიაკოვმა რამდენიმე დღის წინათ მოქმედებით შეურაცყოფა მომაყენა და საამხანაგო სასამართლოში გამოყოლაზე უარი მითხრაო. ორივე რეპორტიორები კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებია. ამ ინციდენტის გამო გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა დღეიდან რეპორტიორები საპოლიციო დაწესებულებებში აღარ შეუშვან.

**რევიზია.** კრონშტადტის სამხედრო გენერალ-გუბერნატორს ადგილობრივ საპოლიციო კანცელიარების საქმეების რევიზია მოუხდენია. რევიზიას ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენია. რევიზიის ანგარიში სასამართლოს გადაეცემა.

**სენატორების გადაყენება.** სენატორებმა სილმანმა, კროატმა და გედლუნდმა სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეიტანეს. სამსახურიდან გადადგომა გამოწვეულია ფინლიანდიის დღევანდელი მდგომარეობით.

**ახალგაზრდა ფინელთა სიეზდი.** ახალგაზრდა ფინელთა პარტია 12 დეკემბრისათვის პარტიულ სიეზდს იწვევს. სიეზდზე განხილულ იქნება მთელი რიგი პოლიტიკური კითხვებისა და აგრეთვე მომავალი არჩევნების საკითხი.

## საზღვარ-გარეთ

**ბურცევი.** როგორც პარიზიდან „რ. ს." ატყობინებენ, ბურცევი ახლო მომავალში საბუთებს გამოაქვეყნებს ერთი გამოჩენილი სოც. დემოკრატისა და ერთი სოც.-რევოლიუციონერის შესახებ, რომელნიც პარტიაში ისეთსავე დიდ როლს თამაშობდენ, როგორც აზეფი.

**როტშილდის მოკვლის განზრახვა.** ბრესლავლიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ უცნობმა პირებმა ბარონ ალბერტ როტშილდის მოკვლა სცადესო. როტშილდი ცოცხალი გადარჩა. როტშილდისათვის რამდენიმე დღის წინათ 25 ათასი მარკა მოუთხოვიათ წერილობით უცნობებს, რაზედაც უარი მიუღიათ. როდესაც როტშილდი შელენდორფში სანადიროთ მისულა, უცნობებს სახალხო შკოლის მასწავლებლისათვის პაკეტი მიუციათ როტშილდისათვის გადასაცემათ. პაკეტში ასაფეთქებელი ნივთიერება ყოფილა. როტშილდის სასახლეში შესვლის დროს ნივთიერება აფეთქებულა და მასწავლებელი მძიმეთ დაუჭრია. უცნობი, რომელსაც მასწავლებლისთვის წერილი გადაუცია, მოსამსახურის ფორმაში ყოფილა გამოწყობილი. პოლიციამ ზომები მიიღო მის დასაჭერათ.

**აფიცერთა მოწამვლა.** ავსტრიის გაზეთები ბევრს სწერენ ავსტრიის გენერალური შტაბის აფიცერთა მოწამვლის განზრახვის შესახებ. როგორც პოლიციას გამოურკვევია, ვიღაც შარლ ფრანეის ფოსტით აფიცრებისთვის ბარათები დაუგზავნია, რომელშიაც პილიულები ყოფილა და მათი ხმარების წესიც ზედ წარწერით „სპეციალურათ მამაკაცთათვის". ზოგიერთ აფიცერს ეს პილიულები მართლაც უხმარიათ და მოწამლულან. ექიმებს გაუსინჯავთ პილიულები და ისინი საწამლავით ყოფილან გაჟღენთილი. მოწამვლის მიზეზი არ იციან. მოწამლულ აფიცერთაგან ერთი უკვე გადაცვლილა.

**ლოიდ ჯორჯის საპასუხო სიტყვა.** ლორდ ლანსდოუნის საპასუხოთ ლ. ჯორჯმა (ფინანსთა მინისტრია ინგლისში) შემდეგი სთქვა: ლორდთა პალატის სამოქმედო გეგმა მეფისა და ქვედა პალატის უფლებების შელახვაა. ზემო პალატა პირველი ამცირებს მეფის და ქვედა პალატის ავტორიტეტს. კონფლიკტი ჩვენ არ გამოგვიწვევია; არც პარლამენტის დათხოვა გვაშინებს. ბრძოლა გაჩაღდება. ვერც ერთი ლიბერალური მთავრობა ვერ გამაგრდება, სანამ ზემო პალატას საკმარისათ არ ალაგმავს და მით თავის პოზიციას არ განამტკიცებს.

**ბერლინის პრესა ფინლიანდიის საქმეთა შესახებ.** გაზეთ „რუს. სლოვო"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: ადგილობრივი პრესა არჩევს ფინლიანდიის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ საკითხს. გაზეთები კიცხავენ რუსეთს სეიმის უდროოთ გარეკისათვის, რეპრესიებისთვის და ავტონომიურ უფლებებისთვის შევიწროებისათვის საზოგადო აზრი ისეთია, რომ პეტერბურგი საშიშ გზაზე აყენებს ფინლიანდიელებს.

# ახალი ამბები

**კავკასიის მეურნეთა სიეზდი.** კვირას, 15 ნოემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში, გაიხსნა კავკასიის მეურნეთა სიეზდი. სიეზდს დაესწრენ საორგანიზაციო ბიუროს მიერ საგანგებოთ მოწვეული რამდენიმე პირი—საზოგადოების წევრნი და გარეშე პირებიც, რიცხვით [illegible] თვითმართველობის წარმომადგენელნი, თავად-აზნაურობისა, შეითავსოთ საზოგადოების, სამოსწავლო ოლქის ინსპექტორები, სახალხო სკოლის დირექტორი, გენერლები და სხ. სიეზდი გახსნა და პირველათ სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოების პრეზიდენტმა პ. ა. გრუზინსკიმ. თავის სიტყვაში მან მოკლეთ განმარტა სიეზდის პროგრამა და სიეზდს ნაყოფიერი შრომა უსურვა. გარდა ამისა მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს თფილისის თავად-აზნაურთა წარმომადგენელმა პ. თუმანოვმა და ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ხატისოვმა. შემდეგ სას. მეურ. განვითარების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს საზოგადო საპატიო წევრმა ქალანთარმადა მდივანმა ს. ეირანოვმა. თავის სიტყვაში პირველი ვრცლათ შეეხო პირობებს, აღნიშნა ხალხის თვითმოქმედების საჭიროება საერობო, კოოპერატიული და საკრედიტო დაწესებულებებში და, ბოლოს, მხურვალეთ მოუწოდა სიეზდს მორიგ საკითხების ადრიანათ და სასურველათ განსახორციელებლათ. ს. ეირანოვი ვრცლათ შეეხო საზოგადო აგრონომიის ისტორიულ განვითარებას დასავლეთ ევროპაში და რუსეთში და თავისი სიტყვა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „საზოგადო აგრონომია ევროპაში და რუსეთში ორ-გვარ სხვადასხვა გზით მიმდინარეობს. პირველი გზა—კერძო საზოგადო კავშირების ორგანიზაციაა და მეორე—გაღრმავება და განვითარება ადგილობრივ ორგანოების მოქმედებისა. პირველი გზა ამიერ-კავკასიაში გვარიანათ გაკაფულია, მეორე გზაზე გამოსვლას ადგილობრივი მცხოვრებნი მოუთმენლათ ელოდებიანო". სიეზდის გახსნას არც ერთი სოფლის მდაბიო მეურნე გლეხი არ დასწრებია. სიეზდი, ასე ვთქვათ, არისტოკრატიულია. საზოგადო სხდომები 19,23 და 24 ნოემბერს მოხდება.

✦ **ახალი ჟურნალი.** ს. ფირცხალავამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა მას ნება მიეცეს გამოსცეს ყოველ-კვირეული ჟურნალი „წ. კ. საზ. მოამბე."

✦ **იუბილეი.** ქალაქის გამგეობამ ა. ხატისოვს მიანდო ქალაქის გამგეობის სახელით იუბილეი მიულოცოს ა. ქალანთარს მისი აგრონომიულ და საზოგადო მოღვაწეობის 25 წლის შესრულების გამო.

✦ **თიანეთის მაზრაში** ამ ჟამათ გადამდები ავათმყოფობა მძვინვარებს. უფრო გავრცელებულია წითელა და ხველა. საჭიროა საექიმო დახმარება.

✦ **ტუბერკულიოზთან მებრძოლ საზოგადოების** ხუთმეტ ნოებრის სხდომაზე არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა, რომელშიაც შედიან: ა. ხატისოვი, თავ. თუმანოვი, გ. სტეფანოვი, მ. ვესელოზოროვი, პ. ზავრიევი და მუხარინსკი.

✦ **პოლიცმეისტერმა** განკარგულება მოახდინა, რომ პოლიციელებმა ზომები მიიღონ ქალაქის მე-2 პირველ დაწყებითი სკოლის მოსწავლის ნ. კონჩეშვილის მოსაძებნათ, რომელიც 28 ოქტომბრიდან სახლში არ დაბრუნებულა. ბავშვი 14 წლისაა, ახურავს შავი ქუდი და ნაცრის ფერი ბლუზა აცვია.

✦ **ციმბირის ჭირი.** ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, რომ იქ ს. იმირში საქონლის ჭირი გაჩენილა.

✦ **უბნის ზედამხედველები:** პ. თეთრაძე, ა. სვინჩენკო, ა. ბელოზერსკი და ვლ. უგულავა გუბერნატორის დადგენილების ძალით პოლიცმეისტერმა ორორი მანეთით დააჯარიმა, რადგან მათ სამსახურში დაუდევრობა ბრალდებათ.

✦ **სამართალში მისცეს** მე-XI საპოლიციო უბნის პოლიციელი ფ. პეტროვი, რომლის დაუდევრობით გაიქცა შეპყრობილი ალ. ბედოშვილი.

✦ **ქართული წარმოდგენა.** 21 ნოემბერს ზუბალაშვილების სახალხო სახლში სახ. უნივერსიტეტის ქართული სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი" კომედია 4 მოქ. ა. ცაგარლისა. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ სექციასთან ყოფილი სცენის მოყვარეთა დასის ზოგი წევრი, ზოგიც ახალი სცენის მოყვარეები და აგრეთვე დრამატიული დასის რამდენიმე წევრი.

✦ **თფილისის სახაზინო პალატის** რევიზია დამთავრდა. რევიზორი ტატარინოვი პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ კავკასიის სამეურნეო საბჭო ბიუ…ენების ბეჭდავს, სადაც მოკლეთ …ნება აღნიშნული სიეზდის მოხსენებები და სექციების რეზოლიუციები.

✦ ლექციები. 17 და 19 ნოემბერს კავკასიის მეურნეთა საზოგადოების შენობაში წაიკითხავენ ლექციებს „რძეზე“.

✦ ჭეშმარიტ რუსთა შუამდგომლობა. თფილისიდან „ნ. ვ.“ ატყობინებენ: …მომხდარ ჭეშმარიტ რუსთა თათბირი დაადგინეს: შემუშავდეს და გაეგზავნოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პროექტი, რათა მან ნება დაგვრთოს …ს მცხოვრებლებს ამიერ კავკასიის …ობაში მონაწილეობა მივიღოთო“.

✦ ავიატორ გიუოს მოპატიჟება თფილისში. ა. ა. ეიხენვალდმა, ავიატორი ა. გიუო მოიპატიჟა თფილისში. გიუომ …ერიოს ჰაეროპლანზე შესანიშნავათ ჩაატარა თავისი ფრენა მოსკოვში. გიუო 000 მ. გარანტიას თხოულობს. ის დეკემბერში ჩამოვა თფილისში და დიდუბეში აფრინდება.

✦ ჰაერში გამფრენი ელექტრონის გემი. ამ ჟამათ ვილაც გ. გ. ასლანოვი ელექტრონულ გემის მოდელს ამზადებს თფილისში. მოდელი ორი თვის შემდეგ დამთავრდება.

✦ სამსახურიდან დათხოვა. ქუთაისის გენ.-გუბერნატორმა სამსახურიდან დაითხოვა ჩოხატაურის ბოქ. თან. გ. ასათიანი, რომელსაც ადგილობრივ მცხოვრებ ტრ. მეგრელიშვილის ცემა ბრალდება, იმიტომ, რომ მეგრელიშვილს მასზე გუბერნატორთან საჩივრის შეტანა გაუბედავს.

✦ პ. გოთუას პიესის აკრძალვა. გუბერნატორმა ნება არ დართო დრამატიულ საზოგადოებას „პარტიის კაცის“ წარმოსადგენათ. პიესა ცენზურის მიერ ნებადართული იყო, აფიშებიც დაბეჭდილი და გაკრული.

✦ ექიმთა საზოგადოების მორიგი სხდომა მოხდება დღეს, ჩვიდმეტ ნოემბერს. ამ სხდომაზე სხვათა შორის გაირჩევა ექ. ახვლედიანის წიგნი: „კახეთის მცხოვრებნი“.

✦ მეურნეთა სიეზდის სექციები. მეურნეთა სიეზდის საორგანიზაციო ბიურომ 4 სექცია აირჩია 1) მევენეობის, 2) მერძეობის, 3) საკოოპერაციო და 4 სამეურნეო განათლების. პირველ სექციის თავმჯდომარეთ სიეზდმა აირჩია: ი. ზ. ანდრონიკოვი—სხდომა მოხდება 16 ნოემბერს დილას და საღამოს, 18 ნოემბერს,—საღამოს და 19-ს დილით. მე-2 სექციის თავმჯდომარეთ ა. ქალანთარი. სხდომები მოხდება 17 და 18 ნოემბერს საღამოს, 19-ს დილით. მე-3 სექციის თავმჯდომარე ა. ფირალოვია; სხდომები მოხდება 18 და 20 დილით და 21 დილით. მე-4 სექციის თავმჯდომარე ვ. მარკოვიჩია. სხდომები მოხდება 20 ნოემბერს საღამოს და 22 დილით და საღამოს. სიეზდის თავმჯდომარის ამხანაგათ არჩეულია ა. არღუთინსკი; მდივნებათ მ. ვერმიშევი და ნ. პროსტოსერდოვი.

✦ შეპყრობა. 14 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული ასოთ-ამწყობი ვლ. კაპტევი, რომელსაც სამართალში აძლევენ.

✦ ქართული თეატრი. 21 ნოემბრიდან ქართულ თეატრში წარმოდგენების მართვას დაიწყებს ქ. ფ. ვალენტეტის საოპერო დასი.

✦ ჩხრეკა და დაპატიმრება. 15 ნოემბერს მე-9 საპოლიციო უბანში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 13 უპასპორტო.

## 23 ოქტომბრის ვაჭრობა

### წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ.

ნავაჭრის წილი შემოსწირეს: 25) სოლ. გერშოვემა 10 მ. 26) ივანე კვიკვაძემ 1 მ. 27) ვასილ შოთაძემ 1 მ. 28) ივანე პავლიაშვილმა 1 მ. 29) სიმონ მჭედლიძემ და ზაქარ შარაშიძემ 3 მ. 30) ალექსი ჯანაზოვმა 50 კ. 31) დავით შუბაშვილმა 50 კ. 32) სანდრო მეგრელიშვილმა 1 მ. 33) აბრამ ცქიმანაურმა 50 კ. 34) არჩ. შვედოვმა 1 მ. 45) გიორგი მამულაიშვილმა 1 მ. 36) დავით დოდაშვილმა 1 მ. 50 კ. 37) არსენ კოტრიკაძისაგან 1 მ. 50 კ. 38) ნიკო ხუროშვილისაგან 50 კ. 39) ამირბეგოვისა და ამხ. 3 მ. 40) იოსებ გიორგობიანისაგან 20 კ. 41) ვლადიმერ ვაშაძისაგან 50 კ. 42) გიორგი ბუხრაშვილისაგან 50 კ. 43) ონისიმე ქარცივაძე 20 კ. 44) პავლე ბაქრაძემ 2 მ. 45) ზაქარია თოიძემ 5 მ. 46) მიხ. ჩიქოვანმა 1 მ. 47) სედრაკ კოტინოვმა 1 მ. 40 კ. 48) ანტონ შევარდენოვმა 50 კ. 49) ოჰანჯანოვმა და გასპაროვმა 1 მ. 50 კ. 50) იოსებ თურქიამ 1 მ. 51) სამსონ გიორგაძემ 1 მ. 50 კ. 52) ვასილ ჩაჩიბაიამ 2 მ. 53) ლევან გვასალიამ 1 მ. 54) ილიკო ლებანიძემ 30 კ. 55) ნიკო პრელაშვილმა 3 მ. 56) პავლე ფაფაზიაშვილი 1 მ. 50 კ. 57) სიმონ გვასალიამ 1 მ. 58) სარქის ნუსავმა 50 კ. 59) გიორგი მესხიშვილმა 1 მ. 60) მალაქია გედევაძემ 1 მ. 50 კ. 61) გრიგოლ ლომთათიძემ 1 მ. 62) დავით როსტიაშვილმა 50 კ. 63) დათა ბამილაშვილმა 1 მ 64) სანდრო გოგოლაშვილმა 50 კ.

# მასწავლებელი

(აზრი აღებულია)

სოფლის სკოლასთან გათხრილსა საფლავს
გარს ეხვეოდენ პატარაები,
შორს გაჰყურებდენ მასწავლებელსა
და ევსებოდათ ცრემლით თვალები!
ხოლო დარაჯებს ხელში უგდიათ
და შეუჯაჭვავთ მასწავლებელი,
ვისაც სინათლე ხალხში შეჰქონდა,
ვინც მას შესწირა სიცოცხლე მთელი!
უცბათ ჰაერში სიტყვა გაისმა,—
და აუჟუჟდა მსმენელებს გული:
„პატარეებო, ჩემო ძვირფასნო!
ძმების გასწავლეთ მე სიყვარული;
მე თქვენ გასწავლეთ—მარად ებრძოდეთ
უსამართლობის საზიზღარ კედლებს
როს გაიზრდებით, თუ შეასრულებთ,
ვაშა თქვენ და თქვენს გამზრდელსა დედებს!
ახლა უსმინეთ თქვენს მასწავლებელს,
უკანასკნელი გაკვეთილია,
მე თქვენ გასწავლით სიკვდილს ძმათათვის:
ხედავთ—სამარე ამოთხრილია...“
შეაწყვეტინეს... თოფმა იჭექა,
არეს მოესმა გამოძახილი!
მსხვერპლი წაიღეს დარაჯთ იქითკენ,
სადაც სამარე იყო გათხრილი.
ყველა შეძრწუნდა, თითქოს სოფელსა
დღე დაუბნელდა მარად მზიანი...
მოსწავლეებიც დაფრთხენ, შეშინდენ
და შინ დაბრუნდენ თვალ-ცრემლიანნი.

იასამანი.

## დაგვიანებულ პასუხის პასუხი.

—

გუშინწინდელ (კვირის) №-ში „დროების“ რედაქციამ ძლივს ამოიღო ხმა იმ ბრალდებაზე, რომელიც ჩვენ მის თანამშრომელ ა. შანშიაშვილს წარვუდგინეთ გაზ. „მომავ“. ა. შანშიაშვილის პოემა, „ოცნების მხარეს“—(იმ კვირია იბეჭდებოდა „დროებაში“)—გადმოკეთებულია როსტანის „პრინცესსა გრიოზა“-დან. (პლაგიატორ—ავტორმა კი ეს ფაქტი არ აღნიშნა).

— ეგ ცილის წამებაა!—რიხიანათ იცავს თავის თანამშრომელს „დროება“—„ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ა. შანშიაშვილის და როსტანის ნაწარმოებს შორის საერთო არაფერია“ (ხაზ ჩვენ ვუსვამთ)—„მომავალში“ მოყვანილი ლექსები სრულიათაც არ ამტკიცებს ა. შანშიაშ. პლაგიატორობას და სხვა ამისთანები...

ბ-ნნო „დროებისტებო!“ თუ ჩემი წერილი, („მომავ.“ მოთავსებული) თავით-ბოლომდინ წაიკითხეთ, ალბათ, იმასაც ამოიკითხავდით, რომ ლექსებს გარდა, მე მიგითითეთ ფორმაზე და ოთხ უმთავრეს მომქმედ პირზედაც. ყოვლად შეუძლებელია, რომ მხოლოდ случайно-ორი სხვადასხვა ავტორების ნაწარმოები ეგრე აშკარათ ჰგავდენ ერთმანეთს: ფორმითაც, მომქ. პირნ. (ასე, გასინჯეთ, აქსესსუარებითაც კი!) და ალაგ-ალაგ ლექსებითაც. ეგრე ხომ ხვალვე ყველა შაგირდი შექსპირ—გიოტეთ მოგვევლინება! უკაცრავათ კი არ გახლდეთ და მაგითი თქვენ სანქციას აძლევთ პლაგიატორობას... მაინცა და მაინც, დიდი ინტერესით მოველით თქვენ ვრცელ წერილს, რომელშიაც, გვპირდებით, დაგვიმტკიცოთ, რომ შანშიაშვ. და როსტანის ზემოაღნიშნულ ნაწარმ. შორის საერთო არაფერია. ჩვენც იმავ დღეებშივე დაგიმტკიცებთ, რა არის მათში საერთო. სიტყვა-სიტყვით მოვიყვანთ ჩვენ ფაქტებს და, თუ იმასაც არ დასჯერდებით, ავირჩიოთ ნეიტრალური პირები (ლიტერატურულათ განათლებულები), დავნიშნოთ სამედიატორო სამართალი და იმათ გასაჯონ, ვინ არის ჩვენში მართალი. მაშინ მაინც გავიგებთ, რა ითვლება ქართულ ლიტერატურაში პლაგიატიათ და რა არა? (სხვათა შორის, იქნებ გუნიასაც გაუკეთონ „переоцѣнка всѣхъ цѣнностей“?) მანამ კი ოთხმოცდა ათი წერილიც რომ დაბეჭდოთ თქვენც და თქვენმა თანამშრომელმა ა. შანშიაშვილმაც, ვერას გზით ვერ გადაგვარწმუნებთ, რომ უკანასკნელის პოემა „ოცნების მხარეს“ გადმოკეთებული არ არის როსტანის „პრინცესსა გრიოზა“-დან: იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც რამდენჯერმე გადავიკითხეთ.

ნ. დ.

## წერილი მოსკოვიდან

—

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი სტუდენტობა ყოველ წლივ ცის მანანასავით მოელის ტრადიციული ქართული საღამოს გამართვას და ეს არც საკვირველია. ვინ არ იცის, რომ ქართველ სტუდენტობის დიდი უმრავლესობა ნივთიერათ ძლიერ შევიწროებულია და აუტანელ პირობებში უხდება მეცადინეობა, ერთად ერთი შემოსავლის წყარო, რომელიც ცოტა ხნით მაინც სულს უბრუნებს ჩვენს სტუდენტობას, ეს ქართული საღამოა და აბა როგორ არ უნდა მოელოდენ მის გამართვას მოუთმენლად და აღტაცებით. ოცდა თხუთმეტი წელიწადია, რაც სისტემატიურათ, ყოველ წლივ იმართება მოსკოვში ქართული საღამოები და ვინ ჩამოთვლის ამ ხნის განმავლობაში რამდენი ქართველი სტუდენტი იხსნა ამ საღამოდან შემოსულმა ფულმა. ვინ ჩამოთვლის, რამდენს ერთდროული დახმარებით და სესხათ ფულის მიცემით ხელი მოუმართა და ოდნავ მაინც შეუმსუბუქა აუტანელი პირობები.

წელსაც, ჩვეულებრივის მოუთმენლობით და სიხარულით ვუცდიდით ქართულ საღამოს გამართვას, ბევრს იმედებს ვამყარებდით მასზე, მაგრამ... მაგრამ წელს ბედმა გვიმტყუნა. თუ წინა წლებში საღამო ათას, ათასხუთას და ორიათას მანეთს წმინდა შემოსავალს გვაძლევდა, ამ უკანასკნელი ორ-სამ წელიწადში ძლიერ ჩამოქვეითდა. შარშანწინ საღამომ ხუთას მანეთამდე დაგვიტოვა, შარშან შვიდას მანეთზე ცოტა მეტი და წელს კი 250 მანეთამდე ზარალი მოგვცა.

ამ გარემოებამ საგონებელში ჩაგვაგდო. ისიც გვეყოფოდა, რომ უმრავლესობას არა გაგვაჩნდა რა და ეხლა 250 მან ვალიც თან დაგვერთო. „ცეცხლზე ნავთი თუ გინდათ ეს არის გაჭირვება დიდია—დახმარება კი არსაიდგან. ჩვენმა უფროსმა კოლეგებმა, რომლებიც თავის დროზე სარგებლობდენ სათვისტომო კასით, სრულიად დაგვივიწყეს. დაამთავრეს კურსი, იშოვეს თბილ-თბილი ადგილები და ვალის გადახდაზე თავს არ იწუხებენ. ნუ თუ დაავიწყდათ, რა მდგომარეობაში იმყოფებოდენ სტუდენტობის დროს?!.

ქართველ სტუდენტობას მოთმინების ფიალა აევსო. რა კი თხოვნამ აღარ გასჭრა ყოველივე ზომებს მიმართეს სესხათ გაცემულ ფულების ასაკრეფათ, მაგრამ ნუ თუ უფრო პატიოსნური დაკეთილი საქმე არ იქნებოდა თავისით გადაეხადა, ვისაც კი შეუძლია?!.. ისეთები კი, რომლებსაც არ გაუჭირდება ნაწილ-ნაწილათ ჩვენი ვალის გადახდა ბევრია. პატიოსნათ და კეთილათ მოიქცა მოსკოვის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული მიხ. ჭავჭანიძე, რომელიც ყოველ-თვიურათ ნაწილ-ნაწილათ ისტუმრებს თავის ვალს. რა ძვირფასი იქნებოდა ჩვენთვის, რომ მას სხვებიც მიბაძავდენ?!

მეტი არ იქნება ავღნიშნო, რომ მოსკოვში რესტორანის პატრონი ს. დიმიტრაძე გვარიან დახმარებას გვიწევს: ყოველ თვიურათ იძლევა ოთხ უფასო სადილს, რაც მოსკოვში ბევრს ნიშნავს. აგრეთვე ქართულ საღამოს შემოსწირა ასი ბოთლი ღვინო და ათი ბოთლი შამპანიური. სწორეთ რომ მადლობის ღირსია.

ივ. ჭ—ძე.

## სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის არაჩვეულებრივი კრება.

კვირას, 15 ნოემბერს, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის არაჩვეულებრივი კრება. კრებაზე განსახილველი საკითხები იყო: 1) წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა, 2) გამგეობის წევრების დამატებითი არჩევნები, 3) ახალი წევრების მიღება და 4) წრის მოქმედება. სხდომა გაიხსნა პირველ საათზე. თავმჯდომარეთ დასახელებულ იქნა ბ. ზურაბიშვილი, მდივნათ—ბ. ტოროშელიძე.

**თავმჯდომარე** აცხადებს, რომ კრებაზე 40 დამფუძნებელი წევრიდან 34 უკვე მოსულია, შეგვიძლია საქმეს შევუდგეთ. ყველა კითხვის განხილვა შეგვიძლია, გარდა წესდების შეცვლისა. ამ კითხვას კრების ბოლოს შევეხები თუ წევრები მოვლენ.

(**დავითიძე** თხოულობს განცხადებისათვის სიტყვას.)

**თავმჯდომარე.** განცხადება შეგიძლიათ ოქმის წაკითხვის შემდეგ შემოიტანოთ.

**მდივანი** ოქმებს კითხულობს.

ოქმის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ელიავას.

**დავითიძე** მე განცხადებისთვის სიტყვა ვითხოვე.

**თავმჯდომ.** შეგიძლიათ განცხადება შემოიტანოთ.

მე და ჩემი ამხანაგი მუშები მოხარული ვართ, რომ კრება სცვლის თავის წესდების ზოგიერთ მუხლებს. ჩვენ არ გვინდა, რომ უთანხმოება გამწვავდეს, მაგრამ სანამ... აქ თავმჯდომარემ ორატორს სიტყვა შეაწყვეტინა და განაცხადა:

მაგის შესახებ ლაპარაკის ნებას არ გაძლევთ. სიტყვას ვაძლევ ბ. ელიავას გამგეობის მოხსენებისთვის.

კრების დიდი ნაწილი მოითხოვს დავითიძეს სიტყვა დაათავებინონ.

**ელიავა** მოხსენებას კითხულობს...

კრებაზე სხვა და სხვა მხრიდან უკმაყოფილებას აცხადებენ. ისმის ხმები: კერძო განცხადების შემოტანა წეს რიგს არ დაარღვევს. ეს ყველგან მიღებულია.

**დავითიძე.** რადგან მე ნებას არ მაძლევთ ჩემი აზრი გამოვსთქვა, იძულებული ვარ კრება დავსტოვო. ის კრებიდან მიდის. მას უკან მიყვება კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობა..

კრებაზე დარჩენ და კამათში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წრის წევრებმა, დამაარსებელმა და მათმა მომხრეებმა.

**ელიავა** მოხსენებას განაგრძობს წრის გამგეობის მოქმედების შესახებ. აღნიშნავს, რომ გამგეობამ კრების დავალებისამებრ სახ. უნივერსიტეტის გამგეობასთან მოლაპარაკება გამართა წრესა და უნივ. სექციის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების შესახებ, მაგრამ მოლაპარაკებამ უნაყოფოთ ჩაიარა. სახ. უნივ. გამგეობამ მოითხოვა წრემ მოქმედება არ დაიწყოს, სანამ უნივ. გამგ. მიერ არჩეული კომისია თავის აზრს არ წარუდგენს კრებას, რაზედაც, რასაკვირველია, წრის გამგეობა არ დათანხმდა. 22 ოქტომბერის სხდომაზე გამგეობამ განიხილა წრის წესდება და მასში საჭირო ცვლილებანი შეიტანა. 31 ოქტ. გამგეობამ განიხილა სხვა და სხვა კითხვები და დაადგინა 15 ნოემბრისათვის არაჩვეულებრივი კრების მოწვევა. 7 ნოემ. გამგეობამ კიდევ სცადა სახ. უნივ. გამგეობასთან მოლაპარაკების გამართვა და წინადადება მისცა სექციის წევრთა სია შეევსოთ 5 წევრის მიმატებით, რომელთაც წრის გამგეობა დაუსახელებდა. სახ. უნივ. გამგეობამ ამის შესახებ დასაბუთებული წერილობითი პასუხი გამოუგზავნა წრის გამგეობას რომლითაც უარს უთვლიდა წრის გამგეობას, მის მიერ წარმოდგენილ წინადადების დაკმაყოფილებაზე. ასეთი იყო გამგეობის მოქმედება დღემდე. დღეს თვითონ კრებამ გვამცნოს, რა უნდა ვაკეთოთ, რა გზით წავიდეთ და გამგეობაც კრების დირექტივების თანახმათ განაგრძობს მოქმედებას. რაც შეხება იმ გარემოებას, რომ ჩვენ წრეს სახ. უნივეს. სექციიდან დამოუკიდებლათ უხდება მოქმედება, ეს ჩვენ არ გვაბრკოლებს. ჰაერი გაჟღენთილია ამ დამოუკიდებლობის საჭიროების სურვილით. ყველა, ვისაც კი ცოტათი მაინც გული შესტკივა სახალხო წარმოდგენების საქმისათვის,—ამ დამოუკიდებლობის საჭიროებას აღიარებს. წრემ უნდა იარსებოს თავისთვის და სხვის ზედმეტ ბარგათ არ უნდა იყოს გამხდარი. განმეორებით ვითხოვ, კრებამ გაგვაცნოს თავისი შეხედულობა გამგეობის მომავალი მოქმედების შესახებ.

**თავმჯდ.** თვითონ გამგეობამ გაგვაგებინოს თავისი აზრი მომავალი მოქმედების შესახებ.

**ელიავა.** გამგეობას ამის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია.

**თავმჯდ.** პირველმა კრებამ კი დაგავალათ, რომ დამოუკიდებელი მოქმედება დაგეწყოთ.

**ნაფეტვარიძე.** როგორც მოხსენებიდან და კერძო პირთა ნალაპარაკევიდან სჩანს, წრის გამგეობას მოქმედება ვერ დაუწყია. ვინაიდან სახ. უნივ. გამგეობასთან გამართული მოლაპარაკების შედეგი უნდოდა კრებისათვის წინასწარ გაეცნო. წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლის წინააღმდეგი არავინაა. გამგეობა მოვალეა წესდების თანახმათ მოქმედება დაიწყოს.

**ქ. ჯაფარიძე.** არსებითათ ვეთანხმები წინა ორატორს. წრის ისტორია მოწმობს, რომ წრეს თავიდანვე სურდა დამოუკიდებლობა. ის დღემდე ბუქსირზე მისდევდა უკან სხვა და სხვა დაწესებულებებს. სცენის მოყვარეთა სურვილი იყო გამოყოფოდა სახალხო უნივერსიტეტს. წრემ თავისი სურვილი შეასრულა. მე ვეთანხმები იმ დადგენილებას, რომ წრე შეუდგეს მოქმედებას.

**ირ. რამიშვილი.** დამოუკიდებელი წრის დაარსების გამო ჩვენს წინაშე დიდი უთანხმოებაა ატეხილი. შეიძლება ერთი იყოს მართალი და მეორე მტყუანი, მაგრამ ისიც კი შეიძლება, რომ ორივე მტყუანი იყოს. იმ დროს, როდესაც სხვა მეტი თავსატეხი კითხვებია კარს მომდგარი, ამ კერძო კითხვას ამდენ ლაპარაკსა და წერას ანდომებთ. კითხვა ძალიან გაამწვავეთ, რაც საჭირო არ იყო. სახალხო უნივერსიტეტი ჩემთვის დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა დღეს, მას შეუძლია სახალხო წარმოდგენებს უფრო ფართო ასპარეზი მისცეს. დამოუკიდებელი მოქმედების თანახმა ვარ, მაგრამ კანტროლი საჭიროა. სახალხო უნივერსიტეტი დახმარებას გაუწევს თეატრალურ სექციის გაჭირვების დროს. ჩემი წინადადებაა ავირჩიოთ კომისია ნეიტრალურ პირებისაგან და მას მივანდოთ შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება გამართოს სახ. უნივერსიტეტის გამგეობასთან. კომისია თავის აზრს გაგვაცნობს და მაშინ გადავსწყვიტოთ: გამოყოფა სჯობია, თუ შეერთება. თორემ, ვაი თუ აჩქარებით შევსცდეთ. ვაი თუ საქმე სანანებლათ გაგვიხდეს...

**საბაშვილი.** საჭიროა კითხვა ორ ნაწილათ გაიყოს. პირველი კითხვა, ჩემი აზრით, უნდა იყოს: საჭიროა თუ არა დამოუკიდებელი წრის დაარსება? მეორე კითხვა—თუ დამოუკიდებლობა საჭიროა, შეუდგეს თუ არა ახალი წრე მოქმედებას?

**თავმჯდომ.** მოუხერხებლათ მიმაჩნია ასე კითხვის დანაწილება. საჭიროება რომ არ ყოფილიყო, დამოუკიდებელი წრე არც დაარსდებოდა. აგრეთვე შეუწყნარებლათ მიმაჩნია ბ. რამიშვილის წინადადება სახ. უნივ. გამგეობასთან მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ. როგორც მომხსენებელმა ელიავამ გაგვაცნო, წრის გამგეობას მოლაპარაკება არა ერთხელ გაუმართავს, მაგრამ აქედან არაფერი გამოსულა. წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ნეიტრალური კომისიის არჩევისა. წრეს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლია. ის უკვე დაარსებულია. საჭიროა მხოლოდ მისი ამოქმედება.

**ვაშაკიძე.** მე მინდა კითხვას სხვა მხრით შევეხო. მუშებს კულტურული დაწესებულებებისადმი ლტოლვილება მარტო დღეს არ დაბადებიათ. კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების საჭიროებას ისინი წინათაც სცნობდენ. მხოლოდ 1907 წლიდან კი კულტურული დაწესებულებანი ჩვენთვის აუცილებელი

საჭიროება შეიქნა. ჩვენც ჩავერიეთ სახალხო თეატრის საქმეში და დღემდე როგორც იყო მოვედით. დღეს კი სახალხო წარმოდ. მართვას გარშემო განხეთქილება ატყდა, რასაც დარბაზიდან დემონსტრატიულათ გასული მუშები მოწმობენ. მაგრამ ხომ გაგიგონიათ: ვინც გარბის, დამნაშავეც ის არისო. სახალხო უნივერსიტეტის გააგეობის მხრის დამჭერნი ჩვენ დამნაშავეთ მიგვაჩნია. სახალხო უნივერსიტეტი ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს წარმოდგენების მმართველ სექციას.

**საბაშვილი.** სხვის აზრს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამას მოითხოვს იმ პირთა ინტერესიც, რომელნიც საქმეს არ იცნობენ. საკითხის გამოსარკვევათ საჭირო იყო ჩემი წინადადების მიღება. აუცილებლათ საჭიროა წრემ დამოუკიდებლათ იარსებოს. ზოგიერთების პროტესტი და დემონსტრატიულათ დარბაზის დატოვება უადგილო იყო.

**მგელაძე.** ვერც სეპერატიზმს და ვერც გამოთიშვას მე აქ ვერ ვხედავ, ვინაიდან არავითარი კავშირი არ არსებობდა სახალხო უნივერსიტეტის და წარმოდგენების მმართველ წრეს შორის. აქ არავითარი სეპერატიზმი არ არის. საჭიროა წრემ განაგრძოს დამოუკიდებელი მოქმედება.

**ირ. რამიშვილი.** მე არავითარ სეპერატიზმზე ლაპარაკი არ მქონია. მე მხოლოდ გაფრთხილებთ, რომ თქვენმა დამოუკიდებლათ მოქმედებამ სახალხო უნივერსიტეტს ზიანი არ მიაყენოს. წრეს შეუძლია უნივერსიტეტს დახმარება გაუწიოს, თუ მასთან იქნება შეკავშირებული. ფუნქცია ქონდეს წრეს დამოუკიდებელი, მაგრამ თვითონ წრეს რომ სახალხო უნივერსიტეტიდან გათიშვის ტენდენციას ვამჩნევ, ეს კი არა თუ სასურველი—გასაკიცხიცაა. წარმოდგენების გამმართველ წრის სახალხო უნივერსიტეტთან სოლიდარული მოქმედება აუცილებელ საჭიროებათ მიმაჩნია. ამ პირობებში საქმე უფრო ნაყოფიერი იქნება.

**ელიავა.** სახალხო უნივერსიტეტთან გამართული მოლაპარაკება უნაყოფო გამოვიდა. წრეს სურს უნივერსიტეტთან მოქმედება, მხოლოდ წრე უნივერსიტეტის ხორცმეტათ არ უნდა იქნეს ჩათვლილი. შეთანხმებით მოქმედება, რასაკვირველია, შესაძლებელია. მუშების გავლენა წრეში უზრუნველ-ყოფილი უნდა იქნეს ყოველ მხრივ. შემცდარია ის აზრი, ვითომ მუშა ამ საქმისთვის არ არის საჭირო. წრის ყველა წევრები უარს ყოფენ ვინმეს პატრონობას. მე ვერასოდეს ვერ ვიკისრებ თამამათ სხვისი ტკივილის გამოხატვას, როგორც ეს საკუთრათ მას შეუძლია. შეცდომებიდან დაზღული არავინ არ არის. შეცდომები იყო, ზოგი ნებსითი და ზოგი უნებური გარეშე მიზეზებით გამოწვეული. ჩვენ ვენდეთ იმ პირებს, ვინც წრის საქმეს ჩაუდგენ სათავეში. ყველა, ვისაც წესდებაზე ხელი უწერია, თავდებია იმისა, რომ წრეს შეუძლია თავისი მოღვაწეობით თავისი დანიშნულება დააკმაყოფილოს. მაშინ ის პირებიც ჩვენთან მოვლენ, რომლებმაც დღეს კრება დასტოვეს. კარები ყველასათვის ღებულია: ვისაც უნდა მოვა, ვისაც უნდა წავა.

**ლასხიშვილი.** დამოუკიდებელ წრეზე ლაპარაკი ფორმალურათ მოუხერხებლათ მიმაჩნია, ვინაიდან წრე უკვე დაარსდა. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს წრის დამოუკიდებლობის მიზეზი. წასრულში იყო დამოუკიდებელი სექცია. 10—12 წლის წინათ თეატრალური სექცია. შეუერთდა სახალხო კითხვათა სექციას. და მას შემდეგ მათ შორის განხეთქილება არ შეწყვეტილა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სახალხო კითხვათა სექცია ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა თეატრალურ სექციას. ახლა დამოუკიდებელი წრე გვაქვს. საუბედუროთ, უთანხმოება გამწვავდა. მე თანახმა ვარ, რაც უნდა მოხდეს, სახალხო უნივერსიტეტთან დამოკიდებულება არ შევსწყვიტოთ. მე იმ აზრისა ვარ, რომ სახალხო უნივერსიტეტთან მოლაპარაკება კიდევ გაგრძელდეს, რომ რაიმე შეთანხმება მოხდეს. არ არის სასურველი, რომ უთანხმოება კიდევ გაღრმავდეს. საჭიროთ მიმაჩნია, კრებამ დაავალოს გამგეობას კიდევ გამართოს მოლაპარაკება სახ. უნივერსიტეტთან.

**ჯაფარიძე.** მე კითხვა გამორკვეულათ მიმაჩნდა, მაგრამ ლასხიშვილის სიტყვის შემდეგ ისევ მინდა კითხვას დავუბრუნდე. წრე ახლავე უნდა შეუდგეს მოქმედებას. მოცდაზე ლაპარაკი მეტია, ვინაიდან კავშირი არც აქამდე ყოფილა. სახალხო უნივერსიტეტი არავითარ დახმარებას არ უწევდა თეატრალურ სექციას. წრის დაარსება ამტკიცებს დამოუკიდებლათ მოქმედების საჭიროებას. სახალხო უნივერსიტეტის რჩევას წრე ყოველთვის სიამოვნებით მიიღებს, თუ კი პირადული ინტერესები არ ალაპარაკებს ვინმეს. სახ. უნივერსიტეტსა და წრეს შორის დამოუკიდებლობა საქმეს არასოდეს არ ავნებს. კითხვა გამორკვეულათ მიმაჩნია. წრე უნდა შეუდგეს მოქმედებას.

**თავმჯდ.** ლასხიშვილის წინადადების შესახებ კითხვას ცალკე დავაყენებ და კამათიც ცალკე იქნება.

**ნაფეტვარიძე.** კითხვა გამორკვეულათ მიმაჩნია. შენიშვნას უკეთებს რამიშვილის სიტყვის დამოკიდებულების და გამოთიშვის შესახებ. დამოკიდებულება იქნება, მაგრამ დაქვემდებარება არ იქნება, ვინაიდან ეს საზარალოა თეატრალურ სექციის მოქმედებისათვის.

**ვაშაკიძე.** ეთანხმება წინა ორატორს და მოითხოვს წესდების ზოგიერთი ადგილის შეცვლას.

**თავმჯდ.** საკითხი გამორკვეულია. თუ ნებას მომცემთ რეზოლიუციას წაგიკითხავთ: მოისმინა რა მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ და იქონია რა მსჯელობა საქმის არსებული ვითარების გამო, კრება ადგენს დღეიდანვე დაიწყოს წრემ დამოუკიდებლათ მოქმედება. (რეზოლიუცია უკანასკნელათ შესწორებული მომყავს).

კამათი იმართება რეზოლიუციის ზოგიერთი სიტყვებს შეცვლის შესახებ.

**კ—ლი.** თუ კრება თავმჯდომარის რეზოლიუციას მიიღებს, მაშინ ლასხიშვილის წინადადებაზე კამათი, როგორც ამას თავმჯდომარე დაგვპირდა, უადგილო იქნება. ჩემი აზრით ან ორივეს უნდა ეყაროს კენჭი, ან ლასხიშვილის წინადადების შესახებ კამათი უნდა გაიხსნას.

**ლასხიშვილი.** დამოუკიდებლობის წინაამდეგი არა ვარ, მაგრამ სახალხო უნივერსიტეტთან ზოგიერთ კითხვის შესახებ შეიძლება მოლაპარაკება გაგრძელებულიყო. ჩვენ წესდება შევსცვალეთ და ვსთხოვოთ სახ. უნივერსიტეტს თვითონ გააუქმოს თეატრალური სექცია, თუ მისი წესდების წინააღმდეგია.

**ელიავა.** პასუხი სახ. უნივერსიტეტისაგან მიღებული გვაქვს. მოლაპარაკება ზედმეტია. თუ დღევანდელი კრების დადგენილების დამტკიცებას დაუცდით, ლასხიშვილის წინადადება გასაგებია, თუ დღესვე მოქმედებას ვიწყებთ, მაშვინ პირველათ ლასხიშვილის წინადადებას უნდა ეყაროს კენჭი.

**თავმჯდომარე.** ჩემი აზრით ლასხიშვილის წინადადებას ჩვენი რეზოლიუცია უარყოფს.

კენჭს უყრიან თავმჯდომარის მიერ შემოტანილ რეზოლიუციას. კრება რეზოლიუციას იღებს 26 ხმით სამის წინააღმდეგ.

**ლასხიშვილს** რეზოლიუციაში შესწორება სურს შეატანოს.

**თავმჯდ.** წინააღმდეგია შესწორების

**ელიავა.** თუ კრება ლასხიშვილის წინადადებას მიიღებს, საჭიროა კრებამ კომისია ამოირჩიოს და იმას დაავალოს სახ. უნივერსიტეტთან მოლაპარაკება, გამგეობა კი მოქმედებას განაგრძობს.

**თავმჯდომარე.** თუ გამგეობა იკისრებს მოლაპარაკების განგრძობას, კიდევ შეიძლება დავთანხმდეთ მოლაპარაკებაზე, თორემ თუ კომისია ავირჩიეთ, გამგეობასა და მის (კომის.) შორის განხეთქილება მოხდება. კომისიის არჩევა შეუძლებლათ მიმაჩნია.

**ხარტიშვილი.** უხერხულ მდგომარეობაში აყენებთ სახალხ. უნივერსიტეტის მომხრეებსაც და თეატრ. სექციის მომხრეებსაც. აქ რაღაც ქიშპობა გამოდის.

კრებამ უარყო ლასხიშვილის წინადადება.

ამის შემდეგ ლასხიშვილი მოხსენებას აკეთებს წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ. შეცვლილია წესდების შემდეგი მუხლები: 1, 2, 9, 10, 12, 13, 14, 15 (გამოტოვებულია), 19, 22 (გამოტოვ.), 27, 30, 33, 34 მუხლის მესამე სხოლიო. კამათი გამოიწვია 34 მუხლის მესამე სხოლიომ, სადაც ნათქვამი იყო: „ახალი წევრების მიღება ხდება კრების ბოლოს, კითხვების გადაწყვეტის, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევის შემდეგ“. წრის გამგეობამ წინადადება შემოიტანა ეს სხოლიო სრულიათ ამოეშალათ. ზოგნი თხოულობდნენ, რომ ახალი წევრების არჩევა კრების თავშივე მომხდარიყო, რომ მათაც შეძლებოდათ გამგეობის არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ. ხმის უმრავლესობით კრებამ დაადგინა: ამოიშალოს მე-34 მუხლის მესამე სხოლიო და კრებას უფლება მიენიჭოს ყოველ კერძო შემთხვევაში თვითონ მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების შესახებ. ბოლოს კრებამ მოახდინა გამგეობის დამატებითი არჩევნები და დაამტკიცა სცენის-მოყვარეთა და წრის ახალ წევრთა სია.

**ელიავა.** სანამ არჩევნებს შევუდგებოდეთ, საჭიროთ მიმაჩნია გაგაცნოთ შემდეგი: წრის გამგეობის წევრებათ სხვათა შორის დასახელებული იყვენ ბ. სვირელი და ტოროშელიძე, მაგრამ მათ გამგეობის წევრობაზე უარი სთქვეს და განაცხადეს: ვინაიდან პრესაში აღძრულ კამათში თეატრალური სექციის მხრით მომქმედ პირებათ ჩვენა ვართ გამოსული, რომ ჩვენი მიზეზით რაიმე ზიანი არ მივაყენოთ გამგეობას წევრობაზე უარს ვამბობთო, მაგრამ მე მგონია ეს მოსაზრება საბუთიანი არ არის და დასახელებული პირები გამგეობის წევრობაზე უარს არ იტყვიანო.

სვირელი და ტოროშელიძე გამგეობის წევრობაზე თანხმდებიან.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას აირჩიოს კიდევ მუშებიდან ორი წარმომადგენელი გამგეობაში. ხმის უმრავლესობით ირჩევენ კალანდაძეს და საბაშვილს.

სამ საათზე კრება დაიხურა.

## წერილი ენისეის გუბერნიიდან

—

ყველა ის უბედოთ გადმოსახლებული პოლიტიკურები, რომელნიც ამ 1909 წლის განმავლობაში იგზავნებიან ენისეის გუბერნიაში, რომელთა რიცხვი დაახლოვებით დასჯილებთან ერთათ თავიანთ სურვილით წამოყოლილ ცოლშვილებით და ნათესავებითურთ 2500 ადემატებიან ყველა ესენი ენისეის გუბერნიის, ენისეის მაზრაში არიან გაფანტული. ენისეის მაზრა სრულიად მოწყვეტილია და ცნობილია, როგორც მოუსავლიანი, ყოველგვარ წარმოებას და სწავლა-განათლებას მოკლებული მაზრა მთელს ციმბირის ტერიტორიაზე! ამ მაზრის ვოლოსტებიც მეტათ განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან. ანციფეროვის ვოლოსტი, რომელიც მცირე რიცხოვან სოფლებით გამწკრივებულია მდინარე ენისეისკზე თითქმის ტურუხანსკამდის გრძელდება. აქ განსაკუთრებით ქართველები და ებრაელები იგზავნებიან. ამავე გუბერნიის მეორე მაზრაში, მინუსინსკის მაზრაში ცხოვრობს აგრეთვე პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ლოპუხინი.

თუ რა ჯოჯოხეთურ ცხოვრების პირობებში იმყოფებიან უბედოთ გადმოსახლებული პოლიტიკურები, ვგონებ, მკითხველი საზოგადოებისათვის ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს. ჯერ კიდევ სექტემბრის ბოლო რიცხვებში სიცივე 15 გრადუსამდე უკვე ავიდა, ახლო მომავალში კი 50-მდე მიაღწევს. ასეთ ყინვებში გადმოსახლებულთა დიდი უმრავლესობა ტომრის ტილოების ტანთ-საცმელში არიან, მშიერნი და უბინონი. სხვა მრავალ უბედურებასთან ერთათ იმ თავიანთ საკუთრება ნივთების და გროშების მიღებასაც კი ვერ ღირსებიან, რომელიც ამა თუ იმ ციხეებში დაუტოვებიათ.

მძიმე და ხანგრძლივი ზამთრის დადგომასთან ერთათ, მას შემდეგ მაინც, რაც შეწყდა მდინარე ენისეისკზე გემების მიმოსვლა, ყოველგვარ საქონლის და სანოვაგის ფასმა, ერთი-ორათ მოიმატა, როგორც სოფლათ, აგრეთვე ქალაქშიაც, რომელიც მძიმე ტვირთათ დააწვა იმ უბედოთ გადმოსახლებულ პოლიტიკურებს, რომელთა „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხი, მხოლოდ საათობით ფულით შეძენაზე არის დამყარებული.

დიდ უმრავლესობას სიმშილით და სიცივით სიკვდილიც მოელის, მაგრამ მარტო ნივთიერ გაჭირვებით როდი თავდება საქმე. კიდევ ბევრი სხვა თავ-სატეხი საკითხი უდგათ თვალ წინ პოლიტიკურ გადმოსახლებულებს, ზოგიერთ თვით ვაჟბატონ „ამხანაგების“ წყალობით, რომლებმაც ამ ბოლო დროს ხელი მიჰყვეს შანტაჟს, რასაც შედეგათ მოყვა ის, რომ თვით გადმოსახლებულები იძულებული გახთენ, ერთი ვიღაც პოლიტიკურად გადმოსახლებული ფელდშერი, თავის სამარცხვინო წვრილ ქურდ ბაცაცობის ჩადენის გამო გდეხებში, ადმინისტრაციისთვის გადაეცათ. ამავე დროს თავი იჩინა უსახელო წერილებმა, რომელნიც ქ. ენისეისკის მოავაჭრეებს ფულებსა და ტანისამოსებს მოსთხოვდნენ, გადმოსახლებული პოლიტიკურები შეუდგნენ სწრაფად გამოძიებას სახელოვან ავტორების აღმოჩენისთვის და კიდევაც აღმოაჩინეს. ყველა ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ზოგიერთ გადმოსახლებულებს განსაკუთრებით-კი ადმინისტრატიულებს, რომელნიც აქა იქ თითო ოროლა სცხოვრებენ სოფლად თავიანთ მუდმივ აუდიტორიათ მონოპოლის საწყობები გაუხდიათ. და ეს კი ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს უბედოთ გადმოსახლებულებზე და აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოებაზედაც! ის მგვიდრნი ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც საკმაოთ ნდობის თვალით უცქეროდენ უბედო პოლიტიკურ გადმოსახლებულებს, ყველა ამების გამო ახლა ადმაცერათ უყურებს პოლ. გადმოსახლებულებსაც.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მარტოთ საკმარისი არის ადმინისტრაციის უკანასკნელი განკარგულება, უბედოთ გადმოსახლებულთა პოლიტიკურების წინააღმდეგ! დღემდის გადმოსახლებულ პირს შეეძლო დაეტოვებინა ის სოფელი, სადაც ჩარიცხული იყო და მეორე სოფელში ეცხოვრა, რომლის გამო საშუალება ექლეოდათ ერთი მეორესთან დაახლოვებით, ამხანაგს ამხანაგისთვის ლუკმა გაეყოთ, დღეს-კი მთავრობის უკანასკნელ განკარგულების თანახმათ ყველა თავიანთ დანიშნულ სოფლებისკენ მიერეკებიან. ჩვენ, ქართველები, რომელნიც ენისეის გუბერნიაში ვიმყოფებით სხვა და სხვა ბედნიერებასთან ერთათ სრულიათ მოკლებულნი გართ, და არ ვიცით, რა არის ქართული ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები, მართალია, ერთ-ერთ ვოლოსტში მოდის გაზეთი „მომავალი“, მაგრამ ერთი ვოლოსტიდან მეორეში სარგებლობა მეტად ძნელია. კარგი იქნება თუ არ დაიშურებენ და მოგვაწვდიან ყველა რედაქციები თავიანთ გამოცემებს და მით ცოტათი მაინც შეგვიმსუბუქებენ ჩვენს ჯოჯოხეთურს პირობები.

გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

*Въ Енисейскъ Анциферовская Волость Моисею Николаевичу Тугуши.*

მ. ტუღუში

## მუშათა შორის

—

**თფილისის საქონლის სადგურის მუშათა არტელი.** გულსაკლავი და სამწუხარო ის მოვლენა, რომელიც ხსენებულ არტელის მუშებში მოიპოვა მტკიცე ნიადაგი ამ უკანასკნელ ხანებში: გონებრივი სიკოტრე, ზნეობრივი გახრწნილება, ნაციონალური შუღლი და მტრობ პირადი ინტერესების გადმერთება და სხვა მრავალი მარგალიტები. აი რამ დაისადგურა დღეს არტელის მუშებში.

გვინახავს არტელი, გვინახავს შეუგნებელი ბნელი მუშები, მაგრამ მათი ასე დაქვეითება კი არ გვსმენია. მუშების ამ ნაწილს დაუვიწყნიათ ყველაფერი კარგი, ვინც მათ ასეთ გამათახსირებელ მოქმედებას უწუნებს, ვინც მათ აქეზებს, მეტი დალიონ, ადგილები ყიდონ, დღიური მუშები გარეკონ და სხვა, მათი ღმერთია. თუ ამხილე რამე, დაგმე მათი მოქმედება, მაშინ მათი მტერი ხარ. ეს რომ ასეა, ამის მოწამე არის თითქმის ყველა ის წერილები, რომლებიც მაზე დაწერილა გაზეთებში. ამის მოწამეა 8 ნოემბრის მასიურ კრებაზე მათი საქციელი. თოკის ნერვები უნდა ქონდეს კაცს, რომ მათ მოქმედებას გაუძლოს კრების დროს. კრებაზე ხშირათ ღვინით გალეშილები მიდიან და ფეხზე ძლივს-და დგანან. კრების გახსნის წინ აწყობენ შეთქმულობას მოწინავეების წინაამდეგ, რადგან ამათგან ისეთ კითხვის დაყენებას ელიან, რომელიც შეეხება მათ რეაქციონურ თავმოყვარეობას. დღიურ წესრიგში სხვათა შორის შეტანილია კითხვა ერთი ამხანაგის დახმარების შესახებ, რომელიც თვალსაჩინო წევრია ხსენებულ არტელის და მათ სასარგებლოთ ბევრი გაუკეთებია. „ის ავათ არის, საექიმოთ რუსეთში უნდა უნდა წავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილი მოელის, ჩვენი წვლილით რომ დავიხსნათ, ჩვენ არაფერს დავკარგავდით და დიდ სიკეთეს ვიზამთ“,—ამბობს მომხსენებელი. სანამ რეაქციონერები ძალას მოიკრებდენ, კრება წინადადებას დებულობს. „ეს შეუძლებელია“,—გაისმის ყვირილი, „არ გვინდა“, „ჩვენც ავათ ვართ“, „სხვებსაც დაგვეხმარეთ“ და სხვა. ტყუილა ცდილობს თავმჯდომარე ამათ დაშოშმინებას. „იმათაც დავეხმარებით, ჯერ გადავწყვიტოთ“. ყვირილი თანდათან მატულობს. ამ სურათს ვეღარ უძლებს ის, ვისაც ეს კითხვა შეეხება [illegible] სწირავს მუშებს და აცხადებს, რომ ამათგან დახმარებას აღარ მიიღებს. ჯერ დგება დღიურების განცხადებაზე. გამოჩნდება თუ არა დღიურის წარმომადგენელი სალაპარაკოთ, ასტყდება ყვირილი. იციან თუ რას მოითხოვენ დღიურები, იციან რომ ესენი მორიგ კანდიდატებათ ითვლებიან 2—3 წელიწადი დღიურები თავისუფალი ადგილების და „გაშტატების“ მოითმენ. მათი სურვილი კი შტატის შემცირებაა. არ აქცევენ ყურადღებას არც ამათ დღიურების ცუდ პირობებს ივიწყებენ, რომ ასეთ მათ მოქმედებას შეუძლია კონკურენციის ბანაკის გაძლიერება. არ უყურებენ, რომ ახალი არტელი დგება, რომელიც დღეს თუ არა ხვალ მაინც გაილაშქრებენ მათ წინააღმდეგ თუ ესენი შეთანხმებულათ არ იმოქმედებენ. მეტი შეძენის სურვილებით ვერ ამჩნევენ, რომ ასეთი ქცევით არსებულსაც დაკარგავენ. ახალი წელი, ე. ი. დრო, როდესაც სადგურის ხელახლა უნდა გაიცეს მოახლოვებული დროა, რომ სადგური ისევ ამათ დარჩეს, ამისათვის შემდეგი ორი უმთავრესი პირობა არის საჭირო: ერთი რომ ამათ ნდობით უყურებდეს რკინის გზის ადმინისტრაცია და მეორე კმაყოფილი და მადლიერი იყოს. პირველს მიაღწევენ მაშინ როდესაც აღადგენენ თავიანთ შორის წესიერებას; მოსპობენ ქურდობას, სიმთვრალეს და ლანძღვა-გინებას, ნაციონალური შუღლის ნაცვლათ, სოლიდარობას-შეთანხმებული მოქმედებას დაიწყებენ და თავიანთ მოვალეობას პირნათლათ შეასრულებენ. რომ კმაყოფილი იყოს ადგილობრივი დღიურები ამისათვის კი საჭიროა თავისუფალ ადგილებზე მათი დაშვება და მათზე არსებული ექსპლოატაციის შემცირება. ასეთი მოქმედება გააძლიერებს არტელს და სადგურის შერჩენაც ადვილი საქმე იქნება. დამტკიცებულია, რომ თუ არა შეგნებული მუშები, ეს არტელი ან სულ არ იქნებოდა (იმათ აღმოაჩინეს დიდი ქურდობა წარსულ წელში რამაც არტელი დაიხსნა გარეკისაგან), ან და ვინმე „რიადჩიკის“ ლუკმათ გადაიქცეოდა. და დღეს ეს მუშები რამდენათ შორდებიან შეგნებულ მოქმედებას, იმდენათ უახლოვდებიან ამ უბედურებას ე. ი. ან სრულიად გარეკას ან და „რიადჩიკის“ საწველ ფურათ გახდომას. დღეს აშკარაა, რომ, ზოგიერთი ვაჟბატონები,—ამავე არტელის წევრნი, ხელს უწყობენ მუშებში არევ-დარევის შეტანას, რამდენათ იპყრობს ამ მუშებს სიბნელე, იმდენათ გამბედაობა ემატება ამ ვაჟბატონებს. ესენი არიან ის პირები—(ვინაობას ჯერ არ ვამჟღავნებთ) რომელნიც არ არიან კმაყოფილი ან უბრალო არტელის წევრობაზე, ან და ეჭვდებიან, რებათ, როდესაც მუშები თვითონ განაგებენ თავიანთ საქმეს. ამათი პროვოკატორული საქციელი დღეს ყველა აქ მყოფი შეგნებული მუშებისთვის თვალსაჩინოა. ბნელი მასსა კი ადვილათ ეგება მათ ანკესზე, რაც ისედაც ცუდ მდგომარეობას, უფრო აუკუღმართებს.

რისხვა.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

ბ. რედაქტორო? გთხოვთ გამოაცხადოთ: დიდ მადლობას ვსწირავ შემდეგ პირთ, რომელთაც მე დახმარება აღმომიჩინეს:

1 მ. ი. ბრეგაძე, ოლ. კვაჭაძისა. გერასიმე გ. 50 კ. ე. ზუზუძე, ნ. გაბუნია, ბ. მგელაძე, ნ. ჩხენკელი, ს. ჭანტურიშვილი, დ. სალუქვაძე, ლ. ხინთიბიძე, პავლე უშვ., კოწია გ., კაკურია გ., მეგრელი, ი. კარწაძე და გ. შერმაზდინოვი.

90 კ. გ. ქ.—მ, 35 კ. ს. მყავანაძემ, 30 კ. ი. გეგიაძე, ს. ჩაგუნავა, 25 გ. ტ. მეგრელიშვილმა, 20 კ. ა. შუბლაძე, ფარნა, მიქელაძე, ბ. ცენტერაძე, ილია და ბარნაბა.

თეოფანე შენგელია

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

## განცხადება

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.